



ხაშურის მთაშუა



№15

21 სექტემბერი, ორშაბათი, 2015 წელი

დღეს ღვთისმშობლობაა, გილოცავთ!



გფარავდეთ შადლი წმინდა ქალწულისა მარიამისა და ნათელი მისი მიგიძღოდეთ ცხოვრების გზაზე.

გარემოსდაცვით კამპანიას ხაშურის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები“ ინიციატივას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაც შეუერთდა. ინიციატივა მთელი



საქართველოს მასშტაბით დასუფთავების აქციის მოწყობას ითვალისწინებდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თა-



ნამშრომლებმა ამჯერად თბილისი-ხაშურისა და ბორჯომი-ხაშურის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიები დაასუფთავეს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დასკვნა არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ტელეკომპანია „თრიალეთმა“ უსამართლო ბრალდებებისა და მაყურებლის შეცდომაში შეყვანისთვის საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განიხილა ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიერ თავის ვებ გვერდზე 2015 წლის 27 მარტს გამოქვეყნებული მასალები, სადაც საუბარი იყო ჩემს თითქოსდა ბიზნესინტერესებზე და დაასკვნა, რომ ტელეკომპანიამ არ დაიცვა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შემ-

ტირაჟირებასთანაა გაიგივებული. სწორედ ამის დასტურია საქართველოს



ზურაბ რუსნიშვილის განცხადება ტელეკომპანია „თრიალეთის“ მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით

დღეს - ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მედიასაშუალებები გათავისუფლდნენ სახელისუფლებო წნეხისგან, რაც პოზიტიურად აისახა ბოლო დროს თავისუფალ მედიაგარემოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საერთაშორისო რეიტინგებზეც, სადაც ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა საგრძნობლადაა გაუმჯობესებული. სამწუხაროდ, მედიის თავისუფლება ტელეკომპანია „თრიალეთისთვის“ არასწორი და დაუსაბუთებელი ინფორმაციის

ველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის დასკვნა, რომელმაც ნათელი გახადა აღნიშნული ტელეკომპანიის მუშაობის სტილი და „თრიალეთი“-ს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება მედიასტანდარტებისა და საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ. ტელეკომპანია „თრიალეთს“ ბოდიშის მოხდის გარდა, ასევე მოვუწოდებ უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის სწორი და დადასტურებული ინფორმაციის მიწოდება“. გუბერნატორის ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოთქვამს ითანამშრომლოს ყველა ობიექტურ და ეთიკურ მედიასაშუალებასთან.

მიმდევნა სასწავლო წლის დაწყებას

სასწავლო წლის დაწყება ხაშურელმა მოსწავლე-ახალგაზრდებმა ქალაქის ცენტრალურ პარკში საზეიმო კონცერტით აღნიშნეს.

მოსწავლეებს სასწავლო წლის დასაწყისი მიულოცეს სოფო საუინიანიძე,

ანი სირაძემ, გიორგი ჩიქოვანმა და ჯგუფმა "თრეველინგ ბენდ".



კონცერტი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა.

ცენტრალური პარკი ასეულობით მოსწავლემ შეავსო. –სასწავლო წლის დასაწყისის ასე სასიამოვნოდ დაწყება ჩვენი მომავალი წარმატებული სწავლების ერთგვარი სტიმული იქნება, –აღნიშნა უმრავლესობამ.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 43

2015 წლის 7 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის

წესისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან

საჯარო შეხვედრების მოწყობის

წესი

მუხლი 1.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №41

2015 წლის 7 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი დანართი №1-ის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის 8 ფურცლად);

მუხლი 2. დამტკიცდეს მწვანე ნარგავების დათვალიერების აქტი დანართი №2-ის შესაბამისად (დანართი №2 თან ერთვის 1 ფურცლად);

მუხლი 3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე

ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის (შემდგომში „წესი“) მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

2. წესი განსაზღვრავს:

- ა) მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესს.
ბ) მოსაჭრელი ხეების უბნის გამოყოფის და ხეების მონიშვნის წესს.
გ) მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოების წესს.

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია მწვანე ნარგავების მოჭრა, გარდა კანონით და ამ წესით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტება:

ა) აღდგენა – ღონისძიება/რომლის მიზანია მწვანე ნარგავებით დაუფარავ ფართობებზე, დაბალი სისწირის და დეგრადირებულ კორომებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, გაშენება და გაშენებული ნარგავების მრავალწლიანი მოვლა.

ბ) აღრიცხვა – მწვანე ნარგავების ინვენტარიზაცია და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალების მომზადება.

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც არაუგვიანეს 1 ნოემბრისამაწყოფონ საჯარო შეხვედრა ამომრჩეველებთან და წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 3.

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის შესახებ ცნობა გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე (www.khashuri.org.ge) ან სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, 7 დღით ადრე მაინც.

მუხლი 4.

საჯარო შეხვედრაზე ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით, ასევე შესაძლებელია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმის მიხედვით. ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და მედიის წარმომდგენლების მოწვევა.

მუხლი 5.

საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 6.

მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან საჯარო შეხვედრის დროს ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 7.

საჯარო შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში ან სხვა საჯარო სივრცეში, ასევე შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, რასაც ურთიერთშეთანხმებით უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი ან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 8.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვთ შეუზღუდავად დაესწროს გამართულ საჯარო ანგარიშების განხილვას.

მუხლი 9.

საჯარო შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩეველებს, ანგარიშის წარდგენის შემდეგ, უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომსახურების საჭიანობა.

მუხლი 10.

მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშები ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე (www.khashuri.org.ge) კანონით დადგენილ ვადაში.

გ) გადაბეღვა – სპეციალური ჭრისას ხეების გარკვეულ სიმაღლეზე გადაჭრა.
დ) გაშენება – იმ ტერიტორიების გამწვანება, სადაც არ არსებობდა ბუნებრივი წარმოშობის ნარგავები.

ე) დაინტერესებული პირი – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

ვ) ვარჯის ფორმირება – ხეებზე ტოტების შეჭრა, სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტის გარეშე.

ზ) ზეხმელი ხე – ზრდაშეწყვეტილი ზეხური გამხმარი ხე

თ) კორომი – მომიჯნავე ტერიტორიისაგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული მწვანე ნარგავების ნაწილი.

ი) მწვანე ნარგავები – მერქიანი (ხე, ბუჩქი) და არამერქიანი მცენარეები.

კ) მცენარის სახეობა – მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური ერთეული.

ლ) მოსაჭრელი ხეების უბანი – განსაზღვრული ტერიტორია, სადაც მოსაჭრელი ხეების უბანი ან ძირნაყარი ხის დამზადება.

მ) მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნა – მოსაჭრელი ხეების უბნის გამოჯვანა მოსაზღვრე ტერიტორიისაგან, მოსაჭრელი ხეების აღრიცხვა და მონიშვნა, მოსაჭრელი ხეების უბნის აღრიცხვის უწყისის შედგენა (შემდგომში – აღრიცხვის უწყისი), რომელიც წარმოადგენს მოსაჭრელი ხეების მოპოვების დაწყების განმსაზღვრელ დოკუმენტს.

ნ) მწვანე ნარგავის დამზადება – ზეხური ხის მოჭრა და/ან ძირნაყარი მერქნის ტერიტორიიდან ამოღება და გამოხიდვა.

ო) მოსაჭრელი ხის ერთეულად მონიშვნა – ერთეულად მდგარი ხე-ბუჩქების მონიშვნა და აღრიცხვის წარმოება.

პ) ნარჩენი – ხის მოპოვების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შემადგენელი ნაწილები და სხვა.

ჟ) ნერგი – სანერგის სასკოლო განყოფილებაში აღზრდილი განსაზღვრული ზომის მცენარე.

რ) სანერგე – ფართობი, სადაც ხდება ნარგავების შემქმნელ სახეობათა სარგავი მასალის მიღება. სანერგე შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

ს) სპეციალური გამოკვეთვა – კორომების სანიტარიული მდგომარეობის დადგენის, მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის, აღრიცხვისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევა.

ტ) ფაუტი ხე – ფუტურო, დამპალი და გამოფიტული ხე.

უ) ძირნაყარი ხე – მიწაზე წაქცეული ხმელი ხე, მოთხრილ-მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი, აგრეთვე ხიდან ჩამოცვენილი ტოტები, ფინხი.

ფ) ჭრა – მწვანე ნარგავების მოვლითი და სპეციალური მიზნით ჭრა.

ქ) ხმობადი ხე – ხე, რომლის ღეროს ერთი მესამედი გამხმარია.

ღ) რჩეული ხე – ჯანსაღი, სწორდეროიანი, ტოტებისა და როკებისაგან გაწმენდილი ხე, კარგად ფორმირებული ვარჯით.

ყ) დამზადებული მწვანე ნარგავების გადახიდვა – ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამზადებული მწვანე ნარგავების ტრანსპორტირება.

შ) დამზადებული მწვანე ნარგავების გადახიდვა პირი – დამზადებული მწვანე ნარგავების გადახიდვაზე დაინტერესებული პირი, რომელიც უშუალოდ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში ხეების ტრანსპორტირებისას ან მისი არყოფნის დროს პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ხეების ტრანსპორტირებას (მძღოლი ან/და შესაბამისი გადაამზადებული).

ჩ) გადახიდვის (დანიშნულების) ადგილი – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამზადებული მწვანე ნარგავების ტრანსპორტირების საბოლოო ადგილმდებარეობა, ზუსტი მისამართის მითითებით.

ც) უფლებამოსილი ორგანო - ა(ა)იპ „სავანე“

ძ) საშეშე მერქანი მწვანე ნარგავების ჭრის შედეგად მიღებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტილი ან

წერილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი

(გაგრძელება) ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის მერქნული რესურსი.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები

მუხლი 3. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები

1. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებათა განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს:
 - ა) სპეციალური გამოკვლევის (შესწავლის) მასალები.
 - ბ) მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალები.
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.
2. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო.
3. სპეციალურ გამოკვლევას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.
4. მწვანე ნარგავების მოვლითი ღონისძიებებია:
 - ა) მოვლითი ჭრების განხორციელება.
 - ბ) სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე მწვანე ნარგავების დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამოწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით.
 - გ) ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები.
 - დ) მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა.

მუხლი 4. მოვლითი ჭრები

1. მოვლითი ჭრის სახეებია:
 - ა) განათებითი ჭრა – ხორციელდება 10 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სისხირის კორომებში და გულისხმობს მწვანე ნარგავების განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არასასურველი მერქნიანი სახეობებისა და ეგზემპლარების, ასევე ბალახის საფარის მოცილებას მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის რეგულირებისა და ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით.
 - ბ) გაწმენითი ჭრა – ხორციელდება 20 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სისხირის შერეულ კორომებში, ამ ადგილისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს განსაზღვრული ადგილისათვის არასასურველი სახეობის მწვანე ნარგავების მოჭრას. უნდა მოიჭრას 8 სმ-მდე დიამეტრის ზრდაში ჩამორჩენილი ხეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დიამეტრის ხეების ადგილზე დატოვება ხელს არ შეუშლის ჯანსაღი ხეების არსებობას.
 - გ) გამოსწორებითი ჭრა – ხორციელდება 60 წლამდე (სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით) ხნოვანების 0,7 და მეტი სისხირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრას დარჩენილი ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით.
 - დ) გავლითი ჭრა – ხორციელდება 61 წლის და მეტი ხნოვანების (გამოსწორებითი ჭრის პერიოდის დამთავრების შემდეგ) 0,7 და მეტი სისხირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე გადაბერებული, დაზიანებული, მრუდღეროიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი სხვა ხეების მოჭრას დარჩენილი ხეებისათვის მერქნის ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით.
 - ე) სანიტარიული ჭრა – სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრა.
 - ვ) სარეკონსტრუქციო ჭრა – ხორციელდება დეგრადირებული მწვანე ნარგავების (ხეები და ბუჩქები) კორომებსა და დაცვით ნარგავობაში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით მწვანე ნარგავების აღდგენის საშუალების განსახორციელებლად, აღდგენის პროექტის შესაბამისად.
2. კორომების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სანიტარიული ჭრით გარემოდან ამოღებული, ხმელი, ხმობადი და ძირნაყარი ხეები უნდა იქნეს გამოტანილი მწვანე ნარგავების ტერიტორიიდან.
3. მოვლითი ჭრა ხელოვნურ ნარგავობაში გულისხმობს დაზიანებული, გამხმარი ეგზემპლარებისა და მავნე მცენარეების პერიოდულად გამოღებას.
4. მოვლითი ჭრის ყველა სახე (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) ტარდება 0,7 და მეტი სისხირის კორომებში, ომლებიც განლაგებული არიან 350მდე დაქანების ფერდობებზე.
5. მოვლითი ჭრის ინტენსივობა უნდა დადგინდეს კორომის დახასიათების საფუძველზე.
6. ჭრის ინტენსივობა სისხირების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) 0,7 სისხირის კორომებში – არაუმეტეს 10%ისა.
 - ბ) 0,8 სისხირის კორომებში – არაუმეტეს 15%ისა.
 - გ) 0,9 და მეტი სისხირის კორომებში – არაუმეტეს 20%-სა.

მუხლი 5. მოვლითი ჭრის მეთოდები და მოსაჭრელი ხეების შერჩევა

1. მოვლითი ჭრის ჩატარებისას (გარდა განათებითი და სანიტარიული ჭრისა), უნდა მოინიშნოს მოსაჭრელი ხეების უბანი.
2. მოვლით ჭრას (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) უნდა დაეკმდებაროს მავნე ხეები და მარაგის შემატების დაჩქარების მიზნით განსაზღვრულ შემთხვევებში -ჯგუფურად მდგარი რჩეული ხეები შერჩევით.

მუხლი 6. მოვლითი ჭრების განხორციელების განსაკუთრებული მოთხოვნები

1. მოვლითი ჭრა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს რჩეული ხეების მინიმალურ დაზიანებას.
2. მოვლითი ჭრის დროს (გარდა სანიტარიული და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) კორომის სისხირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0,6 ზე ქვევით.

მუხლი 7. მოსაჭრელი ხეების მონიშვნა

1. ხეების ერთეულად მონიშვნა ხორციელდება მოვლითი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი ორგანოს მიერ. მოვლითი ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსი-

- ლი ორგანო უფლებამოსილია გამოეოს მოსაჭრელი ხეების უბანი.
2. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.
3. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნამდე უფლებამოსილი ორგანოს მიერ განისაზღვრება მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნას დასაქვემდებარებელი ფართობები და მოსაპოვებელი ხეების რაოდენობა მწვანე ნარგავების აღრიცხვის მასალების და მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, ხოლო მასალების არარსებობის შემთხვევაში – მწვანე ნარგავების ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით.
4. უბანი მონიშნება დასამზადებელი მწვანე ნარგავების აღრიცხვისათვის. აუცილებელია პირველ რიგში მონიშნოს ფაუტი, ზეხმელი, ხმობადი, გადაბერებული, მრუდღეროიანი და მავნებლებით დაზიანებული ხეები.
5. უბანზე დასამზადებელი მწვანე ნარგავების აღრიცხვა წარმოებს ამ წესის დანართი 2-ის შესაბამისად.
6. უბნის ადგილმდებარეობა განისაზღვრება უბნის საწყისი და საბოლოო წერტილის GPS კოორდინატებით (ბოძზე ან ჭრას დაუქვემდებარებულ ზეხმდგომ ხეზე 1,5 მ-მდე სიმაღლეზე საღებავით კეთდება “+” ნიშანი.)
7. მოსაჭრელი უბნის მონიშვნა ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ბ“ „გ“ „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას.
8. ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას, ხეების მონიშვნა ხორციელდება მოსაჭრელი ხეების ერთეულად მონიშვნის გზით.
9. მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნისას ერთეულად აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტიპსაციური დიამეტრის ხეები. ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,5 მეტრამდე სიმაღლეზე კეთდება მონიშვნა მკვეთრი ფერის საღებავით.
10. ძირნაყარი ხის გაცემისას, მოსაჭრელი ხეების უბნის მონიშვნა არ ხორციელდება. მწვანე ნარგავების განათვისების ტერიტორია ფიქსირდება GPS კოორდინატებით. ძირნაყარი ხეების მოცულობა დგინდება ფაქტურად გამოზიდული მოცულობის შესაბამისად.
11. აღრიცხვის უწყისის ერთი ეგზემპლარი ინახება უფლებამოსილ ორგანოში. ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს.

მუხლი 8. მწვანე ნარგავების მოვლა ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით

1. ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებებით მწვანე ნარგავების მოვლა ხორციელდება სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე დასახულ ღონისძიებათა მიხედვით.
2. სპეციალური გამოკვლევა მიზნად ისახავს:
 - ა) ხეების სანიტარიული მდგომარეობის დადგენას
 - ბ) მავნებელ-დაავადებათა გამოვლენას, აღრიცხვას, მათი გავრცელების მასშტაბებისა და განვითარების ტენდენციების დადგენასა და მათთან ბრძოლის რეკომენდაციებს.
3. მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა სპეციალური საშუალებების ნუსხა და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 9. მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში

1. სტიქიური მოვლენის (ხანძარი, ქარი, თოვლი, ზვავი, მეწყერი და სხვ.) ან სხვა მასშტაბურ (სოციალური, ბიოლოგიური, გლობალური ეკოლოგიური და სხვ.) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში განხორციელებულ ჭრებზე არ ვრცელდება ამ წესით დადგენილი ჭრის მოთხოვნები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით განახორციელოს ჭრები მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტში აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი.

მუხლი 10. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა

1. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები, არსებული საშუალებების გათვალისწინებით იგეგმება მწვანე ნარგავების აღრიცხვისა და მონიტორინგის მასალებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.
2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო.
3. დაგეგმილ ტერიტორიაზე უნდა შედგეს მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროექტი, რომელსაც ადგენს უფლებამოსილი ორგანო ან კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.
4. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების პროექტი უნდა მოიცავდეს განსახორციელებლად ღონისძიებათა ჩამონათვალსა და ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას.
5. აღდგენას ექვემდებარება:
 - ა) ნახანძრავები და ასევე სხვა მიზეზით განადგურებული როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად გაშენებული მწვანე ნარგავების ფართობები.
 - ბ) ფართობები, რომელთა ბუნებრივი-კლიმატური პირობები იძლევა მწვანე ნარგავების აღდგენის საშუალებას.
 - გ) გამეჩხერებული და ბუნებრივი წარმოშობის მეჩხერი კორომები (0.10.2 სისხირის), რომლებიც საჭიროებს ხელოვნური გზით აღდგენას.
 - დ) დეგრადირებული კორომები, რომლებიც საჭიროებს რეკონსტრუქციას.

მუხლი 11. აღდგენისა და გაშენების ფორმები

1. აღდგენის ფორმებია:
 - ა) ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა.
 - ბ) აღდგენა თესვით.
 - გ) აღდგენა დარგვით.

(დასასრული V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი

(დასასრული)

- 2. გაშენების ფორმები:
 - ა) გაშენება ნერგების დარგვით.
 - ბ) გაშენება თესვით.

მუხლი 12. განსაკუთრებული მოთხოვნები მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების განხორციელებისას

1. მცენარეთა სახეობების შერჩევასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
2. მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობები შერჩევა უპირატესად იმ ადგილობრივი სახეობებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული გარემო პირობებისათვის.
3. სანერგეში სარგავი მასალის აღსაზრდელი ასორტიმენტი შერჩევა განსაკუთრებული ფართობების და სანერგის ბუნებრივკლიმატური პირობების შესაბამისად.
4. არაენდემური მცენარეების გაშენებისათვის (ინტროდუქცია) მცენარეთა სახეობების შერჩევა უნდა მოხდეს მათი ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თვისებების შესწავლით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ სახეობებსა და სხვა ფაქტორებზე.
5. აღდგენილი და/ან გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა, ასევე სხვა მახასიათებლები განისაზღვრება აღდგენის პროექტით.
6. აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სათესლე და სარგავი მასალების, მცენარეების და/ან მათი ნაწილების გამოყენება მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების მიზნით.

მუხლი 13. სპეციალური ჭრა

1. სპეციალური ჭრა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:
 - ა) შენობა-ნაგებობების (ფასადები, სახურავები), საგზაო ნიშნების ხილვადობის ან მათი ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის
 - ბ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისა ან რეაბილიტაციისათვის.
 - გ) ხეების შესაძლო წაქცევით ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ან მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხის თავიდან აცილებისათვის.
 - დ) შენობა-ნაგებობების, პილაროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის ან დემონტაჟისათვის.
 - ე) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისას.
 - ვ) სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.
2. სპეციალური ჭრა ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე.
3. სპეციალური ჭრით მიღებული მერქნული რესურსის განლაგება ან გადაცემა ხდება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ამ წესის მე-18 მუხლით დადგენილი წესით.
4. სპეციალური ჭრა შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობით, ხოლო მერქნული რესურსის განლაგება მოხდება ამ წესის მე-18 მუხლით დადგენილი წესით და ტრასპორტირება მოხდება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 14. სპეციალური ჭრის განხორციელება

1. სპეციალური ჭრა შეიძლება განხორციელდეს:
 - ა) მოსაჭრელი ხეების ადგილის მონიშვნით.
 - ბ) მოსაჭრელი ხის ერთეულად მონიშვნით.
2. მოსაჭრელი ხეების მოჭრა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახეებით:
 - ა) პირწმინდა ჭრით გამოყოფილ ადგილზე მონიშნული ხეების პირწმინდა ჭრა, მოსაჭრელი ხეების ოდენობის მიხედვით.
 - ბ) ძირობრივი ჭრით ზეზემდგომი ხეების მოჭრით აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ და მეტი ტოქსაციური დიამეტრის ხეები. ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში (მიწის ზედაპირი დანდაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე) კეთდება მონიშნა მკვეთრი ფერის საღებავით.
3. მწვანე ნარგავებზე მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის სამუშაოების შემთხმება ხდება თითოეულ მწვანენარგავების აღრიცხვის სამუშაოების დამთავრების შემდეგ. შეთანხმებული დგინდება ჭრაში დანიშნული ხეების შესაბამისობა დათვალეობის აქტში ასახულ მონაცემებთან, სხვაობის გამოვლენის

შემთხვევაში გადამოწმებას ექვემდებარება ჭრაში დანიშნული ყველა ხე. 4. ჭრა არ ხორციელდება, როდესაც დათვალეობის აქტში ხეების მოცულობა არ შეესაბამება ხეების ფაქტობრივ მოცულობას. ასეთ შემთხვევაში ჭრა ხორციელდება ახალი დათვალეობის აქტის საფუძველზე.

მუხლი 15. მოსაჭრელი ხეების ადგილის მონიშვნა

1. მოსაჭრელი ხეების ადგილი ინიშნება ამ წესის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. მოსაჭრელი ხეების ადგილზე შეიძლება განხორციელდეს ამ წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ჭრა ან გადაბეჭვა.

მუხლი 16. მოსაჭრელი ხეების ერთეულად მონიშვნა

1. ხეები ერთეულად ინიშნება ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“; „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. მოსაჭრელი ხეების ადგილზე შეიძლება განხორციელდეს ამ წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჭრა ან ხეების გადაბეჭვა.

მუხლი 17. მწვანე ნარგავების ამოღება გადარგვა

1. სპეციალური ჭრის განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ამოღება-გადარგვას დაქვემდებარებული ხეების გადარგვა.
2. ხეების გადარგვა ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

მუხლი 18. ჭრით მოპოვებული მწვანე ნარგავების განკარგვა

1. ჭრით მიღებული მერქნული რესურსი შეიძლება დასაწყობდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას ან/და ამისათვის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს ჭრით მიღებული მერქნული რესურსი როგორც სამასალე ასევე საშემე მერქნად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს ან ფიზიკურ პირებს, მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია ან/და ამისათვის უფლებამოსილი პირი.
4. ჭრით მიღებული ხე-მცენარეების ტრანსპორტირება მოხდება საქართველოს ტერიტორიაზე ხეტვის მოძრაობის წესის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ხეტვის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხეტვის (მორის) პირველადი გადაამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვარის №46 დადგენილებით.
5. ჭრას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირები, ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა დადგენილების დარღვევისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით

თავი III მწვანე ნარგავების დათვალეობის აქტის წარმოების წესი

მუხლი 20. მწვანე ნარგავების დათვალეობის აქტის წარმოების წესი

1. მწვანე ნარგავების დათვალეობის აქტი დგება მოსაჭრელი ხეების ადგილის გამოიჯვნისათვის, ხეების აღრიცხვის, მონიშვნის, რაოდენობისა და მოცულობის განსაზღვრისათვის.
2. დათვალეობის აქტს ადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით შექმნილი, შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი.
3. დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჭრა ხორციელდება მხოლოდ დათვალეობის აქტის შედგენის შემდგომ შესაბამისი თანხმობის გაცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში დათვალეობის აქტი და შესაბამისი თანხმობა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

სპეციალისტი გვირჩევეს

კარტოფილის ჩრჩილი და მასთან ბრძოლის მეთოდები

კარტოფილის ჩრჩილი საქართველოში შეზღუდულად გავრცელებულ საკარანტინო მავნებელს წარმოადგენს. მიმდინარე წელს ეს მავნებელი აღირიცხა გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვაჟის ტერიტორიაზე, იმ ნაკვეთებში, სადაც მოსახლეობას მოჰყავს კარტოფილი. კარტოფილის ჩრჩილი გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში ხდება კარტოფილის შემოტანა - თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვა. გადაიტანება სარგავი მასალით და ძალეურძენასებრთა კულტურების ნაყოფებით. ეს მავნებელი ზიანს აყენებს ძალეურძენასებრთა ოჯახის წარმომადგენლებს: კარტოფილს, პომიდორს, ბადრიჯანს, თამბაქოს და წიწკას, აგრეთვე, სარეველა მცენარეებს. უპირატესობას ანიჭებს კარტოფილს. მავნებელს მატლის ფაზაში, აზიანებს მცენარის ფოთოლსა და ღეროს, ფოთლებზე წარმოიქმნება ნაღმები კლაკნილი ხაზის სახით. კარტოფილის ტუბერებში აკეთებს მრავალრიცხოვან ხვრელებს და ავსებს ექსკრემენტით. სრული გენერაციისაა, სავლელ და შენახვის პირობებში იძლევა 3-4 თაობას. კარტოფილის ჩრჩილი ზამთრობს მატლისა და ჭუპრის ფაზაში, როგორც მინდვრად (მცენარეული ნარჩენების ქვეშ ნიადაგის ზედა ფენაში), ასევე საცავებში შენახვისას. სასაწყობო პირობებში ტუბერებზე არსებულ თვლების ჩაღრმავების ადგილებში ჯგუფურად დებს კვერცხებს; აქედან გამოიყვლი მატლი კარტოფილის ტუბერს სერიოზულ ზიანს აყენებს და პროდუქციას სასაქონლო სახე ძალიან უქვეითდება ან სრულად ეკარგება. ბუნებრივ პირობებში პეპელა გამოფრინდება მარტის დასასრულს - აპრილის დასაწყისში, ფრენს მზის ჩასვლის შემდეგ და გამოფრინვისას; პეპელა კვერცხებს დებს მცენარის ფოთლებზე, ყუნწებზე, ღეროებზე და ნიადაგით დაუფრავ კარტოფილის გორგლებზე. კარტოფილის ჩრჩილის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები აუცილებლად კომპ-

ლექსური უნდა იყოს. პირველ რიგში, საჭიროა თესვებრუნის დაცვა, კარტოფილი იმავე ნაკვეთს უნდა დაუბრუნდეს 4-5 წლის შემდეგ. დიდი მნიშვნელობა აქვს საღი სარგავი მასალის შერჩევას. კარტოფილი უნდა ჩაითესოს 10 სმ-ზე ღრმადმაქსიმალურად დასაშვებ სიღრმეზე - 15 სმ. მიწის შემოყრა - კოკოლის გაკეთება არანაკლებ 8 სმ სიმაღლეზე უნდა მოხდეს. კარტოფილის მოსავლის აღებამდე 1 კვირით ადრე უნდა ჩატარდეს კარტოფილის მიწისზედა აღმონაცენის მოთიბვა, მინდვრიდან გამოზიდვა და განადგურება. კარტოფილის მოსავლის აღება და ნაკვეთიდან გამოზიდვა მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მოხდეს. ქიმიური ბრძოლის მეთოდები ზოგჯერ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. სათესლე (სარგავი) მასალა უნდა დამუშავდეს „პრესტიჟით“, 1 ლიტრი პრეპარატი გაიხსნება 10 ლიტრ წყალში და მოსხურდება 1 ტონა სათესლე კარტოფილს; ან პრეპარატ „მარშალით“, 0,5-0,7 ლიტრი 1 ტონაზე, სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 10 ლიტრი 1 ტონაზე; ან პრეპარატ სელესტ-ტოპით, 1,5-2 ლიტრი 1 ტონაზე. ვეგეტაციის პერიოდში გამოიყენება ინსექტიციდები: „დეცის-ბლუ“ - 0,2 ლ/ჰა, ბი-58 ახალი - 0,7-1,1 ლ/ჰა, „დელტა“- 0,03-0,06 ლ/ჰა, „აქტილიკი“- 1,5 ლ/ჰა და სხვა პრეპარატები; სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმა 200-400 ლ/ჰა. პესტიციდები უნდა გამოიყენებოთ მორიგეობით, 7-8 დღის შუალდით და ქიმიური წამლობა შეეწყვიტოთ მოსავლის აღებამდე 20 დღით ადრე. კარტოფილი უნდა გადაირჩეს რამდენჯერმე და შენახული იქნეს 3 გრადუსი ტემპერატურაზე; შესაბამის სარდაფებსა და სათავსოებს წინასწარ უკეთდება დეზინფექცია ქლორიანი კირით. შენახვის წინ გამოიყენება ბიოლოგიური ინსექტიციდი „ლეპიდოციდი“ - 1 კგ/ტონაზე. ტუბერები უნდა ჩაითიბოს 1%-იან სამუშაო ხსნარში, ხსნარის ხარჯი 100 ლ 15 ტონა ტუბერზე. დაზიანებული გორგლები, მათი ანარჩენები, მიკრობი მიწის გორგლებზე გასანადგურებლად ჩაიყრება 1-1,5 მეტრი სიღრმის ორმოში, წაყვრება ქლორიანი კირი და დაიფარება მიწით. დაზიანებული მოსავალი მთლიანად უნდა გაუნადგუროთ. კარტოფილის ჩრჩილის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებთა სისტემა მოიცავს სხვა საკარანტინო ღონისძიებებს. კარტოფილის ჩრჩილი სახიფათო მავნებელია, მასთან ბრძოლა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მცენარეთა დაცვის სპეციალისტის რჩევებითა და მეთოდურად. ა. გოგოლაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ჩვენი შეხვედრა, სრულიად მოულოდნელად ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოხდა. ბატონი გოგი, (გ. გოგოლაძე, „ხაშურის მოამბის“ დირექტორი) ხაშურთან, -ეს ვის ვხვდებით-ჩემთვის უცნობ ადამიანს მიესალმა. თბილისი და მეგობრული მოკითხვის შემდეგ, ჩემი იქ ყოფნაც გაისვენეს - „შენ გიორგის როგორ არ იცნობ?! - თითქოს საყვედურნარევი ტონით მკითხა ბატონმა გოგომ და იქვე ჩემი სოფლის „მეფურისძირე“ სოფელში დაბადებული გიორგი ლობჯანიძის არცნობა ძალიან შემრცხვა. თავის მართლება ვცადე, თუ რატომ არაფერი ვიცოდი, ცნობილი პოეტის, ყურანის და „ქილილა და დამანას“ მთარგმნელის, ჩემი მეზობლის შესახებ-სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ვერ ვაპატიე ჩემ თავს და სხვა დროს მსგავსი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, ბატონ გიორგის სოფელ ნაბახტევში, მშობლიურ სახლში ვესტუმრე, სადაც ის, ოჯახთან ერთად შევბუღებდას ატარებდა: „ბატონო გიორგი, მოდი, საუბარი თქვენი ბიოგრაფიის მცირე შტრიხებით დავიწყოთ...“

-მშობლებმა პირველ კლასში ნაბახტევის სკოლაში შემთავსეს, V კლასამდე აქ ვსწავლობდი, შემდეგ ხაშურში, დასთან გადავედი საცხოვრებლად და ხაშურის I სკოლაში გაგავრძელებულს წაველა. 1988 წელს გარდაიცვალა მამა, მამის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დედაც გარდაიცვალა, ჯავრს გადაჰყვა. ხუთი და მყავს, გათხოვილები არიან, მე ვარ მეექვსე ძმა. ყოველ წელს ჩამოვდივარ სოფელში, განსაკუთრებულად მიყვარს ეს სახლი, ჩემს მშობლებს მახსენებს და ვცდილობ, რომ შევინარჩუნო მშობლების ხსოვნა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რადგან უკვე ლექსების კრებული მქონდა გამოცემული და სპარსულ ენას ვვლობდი, უგამოცდოდ ჩავირიცხე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. „პოეზია როგორ მოვიდა თქვენთან?“

-ძალიან ადრეულ ასაკში დავიწვე ლექსების წერა, ეს ლექსები ერთად გადამაწერინა რვეულში ჩემმა დამ და წამიყვანა ხაშურის რედაქციაში, იქ გავიცანი ბატონი გოგი გოგოლაძე, მაშინ მესამე კლასში ვიყავი და როცა მკითხა, რას კითხულობ, მიპასუხია-იაკობ გოგებაშვილის III ტომს-მეთქი, დღესაც არ ვიცი, ნამდვილად ვკითხულობდი თუ არა გოგებაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ 4 წლიდან ვკითხულობ დამოუკიდებლად, და იქვე მიმიყოლებია, რომ ჩვენ, პოეტები, განსხვავებულად ვხვდებით სამყაროს-ეს უფრო გოგის ფანტაზია მგონია, რადგან ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი და უცხო ადამიანს ვერ ვაფუბედავდი მავის თქმას.

ანდა, სიმორცხვის დასაფარად შეიძლება მეთქვა. ჩემი ლექსები პირველად „გამარჯვების გზაში“ დაიბეჭდა. გაზეთები მაშინ სოფლებშიც ვრცელდებოდა, ეს იყო ორი ლექსი, რომელიც ბატონმა მურად მთვარელიძემ და გოგომ ჩემს, ეს აღმოჩნდა დიდი სტიმული. როდესაც დამიგროვდა ლექსების გარკვეული რაოდენობა, მურადმა ჩამიყვანა პაატა ნაცვლიშვილთან, პაატა მაშინ იყო „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი, ეს იყო 1987 წელი და ამავე წელს, მისივე წინააღმდეგობით და საქმეობით დაიბეჭდა 41 ლექსი, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

-VI კლასში ვიყავი, როდესაც წავიკითხე მსოფლიო ბიბლიოთეკის სერიიდან ვახუშტი კოტეტიშვილის შედგენილი ირანული პოეზია. იმდენად მოვიხიბლე თარგმანებით, გადავწვიტე, დედამში წამეკითხა. დავიწვე ძებნა სპარსულის მცოდნის, ხაშურში ყველა მიცნობდა უკვე და თამაზ ლაცაბიძემ დამაკავშირა ხაშურელი წარმოშობის, არაჩვეულებრივადამიანს, კარლო ტაბატაძეს, რომელიც ირანის ისტორიის სპეციალისტი იყო და მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში თბილისში, მაშინ 13 წლის ვიყავი, შინაგანად უკვე ძალიან დამოუკიდებელი. არ ვიცი, რამ გამოიწვია ასეთი დამოუკიდებლობა, იმან, რომ ასე მარტო აღმოჩნდი, თუ იმან, რომ თავი უნდა გამეტანა. ერთი სიტყვით, გავიცანი ერთმანეთი მე და ბატონმა კარლომ. დავიწვეთ მეცადინეობა. კვირაში ერთხელ ჩავდიოდი თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ, მინდოდა აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით ჩამებარებინა სპარსულის სპეციალობით, მაგრამ ბატონმა კარლომ მიჩნია, რომ სპარსული უკვე იცი და მოდი ვცადოთ, არაბულის სწავლა, რადგან უფრო რთულია და სპარსულის შემდეგ, უფრო გაგვიადვილებო.

ერთი სიტყვით, შევიტანე საბუთები არაბულის სპეციალობით, ჩავირიცხე უგამოცდოდ. მაშინდელ განათლების მინისტრს, ელიზბარ ჯაველიძეს რომ გადაუხედავს საბუთებისთვის, დაამატა ადგილი ჩემთვის 5 კაციან ჯგუფში. მაშინ სხვანაირი დრო იყო, სხვანაირად აფასებდნენ ადამიანები ერთმანეთს. რამდენი ნიჭიერ ადამიანი იყო და შეუმჩნეველი დარჩენილა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე აეწყო ყველაფერი დეთვისა და იმ კარგი ადამიანების დახმარებით, რომლებიც ჩემ ცხოვრებაში აღმოჩნდნენ. მერე იყო სტუდენტობა, სტუდენტობის საშინელი პერიოდი. ძალიან მინდა, ერთხელ აღვეწერო

ყურანის თარგმნა. დავიწვე თარგმნა, ძალიან დიდ სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული. მანვე მოხლოვა, მეფიქრა „ქილილა და დამანას“ თარგმნაზეც, რადგან ვახტანგ IV-ისა და სულხან-საბას თარგმანები გვექონდა მანამდე სპარსული დედნიდან, არაბულიდან უთარგმნელი იყო, რადგან არაბუ-



ბატონი ლობჯანიძე: ბელნიერი ვარ, მყავს ბევრი მეგობარი, ჩემი სტუდენტები, მათი ვსოცხლობ, მიყვარს ჩემი საქმე.

სტუდენტობის ცხოვრება, ლაქის ცხოვრება, ჩემ სტუდენტებს მივცე მაგალითი, რომ ადამიანს სურვილის და მონდომების შემთხვევაში, როგორ პირბეჭეში შეუძლია სწავლა და თვითმიზანის გაჩენა. დავამთავრე უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე. ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის იყვნენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ბევრ რამეს, მაგალითად, იგივე გოგი და მურად მთვარელიძე, ჩემი ქართულის მასწავლებელი ფატი კურტანიძე, თამაზ ლაცაბიძე, მაყვალა ხაჩიძე, ამ ადამიანებმა, თამაზ ლაცაბიძემ ვთქვა, რომ შექმნეს ჩემი ბავშვობა, მომცეს მიმართულება, ეს იყო ზრუნვა საკუთარ შვილზე, ეს იყო სამაგალითო ურთიერთობა, ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არასდროს ბეზრდებოდათ მოკითხვა, შენი ამბების გამოკითხვა, რჩევა, მუდმივად შენსა გვერდით ყოფნა, რამაც განსაზღვრა ჩემი მომავალი. მერე იყო კარლო ტაბატაძე, უნივერსიტეტში იყო ჩემი არაბულის ლექტორი თინა მარგველაშვილი. იგი იყო კლასიკური არაბულის შეუღარებელი მცოდნე, „ათას ერთი ღამის“ მთარგმნელი, და კიდევ არაერთი ძეგლის. მესამე კურსიდან მქონდა მასთან ურთიერთობის ბედნიერება და იგი გახდა ჩემი ნამდვილი მოძღვარი.

რაც შეეხება მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც როგორც ვიცი, თქვენს სტუდენტობის პერიოდს უკავშირდება. საიდან გაგიჩნდათ სურვილი და ინტერესი, გეთარგმნათ ისეთი სპეციფიკური რელიგიური ძეგლი, როგორი ყურანია?

-მესამე კურსზე გვეკითხებოდა ყურანის არაბული, რაც გულისხმობდა ყურანის სპეციფიკურ ნიუანსებში გარკვევას. ქალბატონმა თინამ იცოდა, რომ ლექსებს ვწერდი, ლიტერატურა მაინტერესებდა და შემომთავაზა, მეცადა

ლი რთული ენაა და თარგმანისათვის საჭირო იყო კიდევ ლიტერატურული ნიჭი. ორივე მიმართულებით წავედი სტუდენტობის დროს. მოხდა ისე, რომ 1993 წელს, სრულიად შემთხვევით, შევხვდი ნაირა გელაშვილს, მაშინდელი კავკასიური სახლის ხელმძღვანელს, მითხრა, რომ აინტერესებ-

და მთარგმნელობითი მიმართულება და შემომთავაზა თანამშრომლობა. ამიყვანეს კავკასიური სახლის თანამშრომლად აღმოსავლურ განყოფილებაში, სადაც მაშინ ვახუშტი კოტეტიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, ლია ჩლაიძე, ყველა თავისი დარგის საუკეთესო სპეციალისტი იყო თავმოყრილი. და

მე, სრულიად ახალგაზრდას, მომიწია ამ ხალხთან ურთიერთობა, ძალიან დიდი სკოლა იყო. როდესაც დაგროვდა თარგმანი, ქალბატონმა ნაირამ გადაწვიტა, მოგვეწყო ყურანის თარგმანის განხილვა კავკასიურ სახლში, უამრავი ხალხი მოვიდა, ყველა მაქებდა, იყო ერთი კაცი, რომლის კომენტარიც იმ დროს დიდ კრიტიკად ჩავთვალე. ეს კაცი აღმოჩნდა ჯემშიდ გიუნაშვილი, ცნობილი ირანისტი, ახლადგახსნილი საელჩოს ახლადდანიშნული ელჩი, სადამოს დამთავრების შემდეგ, მომილოცა წარმატება და შემომთავაზა ირანში, თეირანის უნივერსიტეტში, თეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა რამდენიმე წლით. ამ შემომთავაზებებიდან გაიარა სამმა წელმა, აღარც ველოდი, დავამთავრე უნივერსიტეტი, დაერჩი კათედრაზე მასწავლებლად. 3 წლის მერე მოდის ირანიდან დეკემბერ ბატონი ჯემშიდისგან. შეგკარი ბარგი და გავემგზავრე თეირანში, არ იყო ადვილი შესაგუებლად. დაერჩი სამი წელი, დაბრუნების შემდეგ დავიწვე ირანის საელჩოში მუშაობა საელჩოს თარგმნად და დავუბრუნდი საუნივერსიტეტო მუშაობასაც. აქ დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, „თემაზე“ „იესო და მარიამი ყურანში“. რაც შეეხება ყურანისა და „ქილილა და დამანას“ თარგმანს, ვაგრძელებდი ახალი ცოდნითა და გამოცდილებით მუშაობას, რომელიც ირანმა მომცა. 2003 წელს გამოვიდა „ქილილა და დამანას“ და 2006 წელს ყურანი, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მანამდე ყურანის თარგმანი გვექონდა მხოლოდ ფრანგულიდან. ჩემუელ თარგმანს აქვს ორი იმდენი კომენტარი, რაც ტექსტია და ვრცელი შესავალი, რადგან მკითხველს მივცეს სრული წარმოდგენა და ინფორმაცია.

თქვენს მიერ გაწეული შრომა, არ დარჩენილა უყურადღებოდ, ირანულმა მხარემ წლის საუკეთესო თარგმანად დაასახელა ყურანის თქვენული თარგმანი. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, როგორც მთარგმნელისათვის, ეს პრემია?

-2008 წელს ყურანის ამ თარგმანმა მიიღო ირანის სახელმწიფო პრემია თეირანში, ეს პრემია ყოველწლიურად გაიცემა და ჰქვია წლის წიგნი. ერთ-ერთი ნომინაცია არის უცხოელებისთვის, რომელიც ორ ქვეპუნქტად იყოფა: ერთი არის ისლამოლოგი

(გაგრძელება VI გვერდზე)



რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება აღმოსავლური ენებით, როგორ შეისწავლეთ სპარსული ენა? ხაშურში არ იქნებოდა ადვილი შესაბამისი სპეციალისტის პოვნა...

გიორგი ლაშურაძე: ბუნური ვარ, მყავს ბუნური მეგობარი, ჩემი სცულენცები, მათით ვცოცხლობ, მიყვარს ჩემი საქმე

(დასასრული)

ური ნაშრომები და მეორე ირანისტიკული ნაშრომები. მე ვიყავი ისლამოლოგიის წარმომადგენელი. მთელი მსოფლიოდან 1500 ნაშრომი იყო წარმოდგენილი და განხილული, იქიდან 10 კაცს სხვადასხვა ქვეყნიდან მოგვანიჭეს ეს პრემია. მანამდე, თარგმნეს ჩემი კომენტარები, შესავალი წერილი, რაც ყურანს ჰქონდა დართული, ყველაფერი გაიხარეს და ფორმულირება იყო ასეთი-პრემია ენიჭება, ღრმა მეცნიერული კომენტარისათვის და ისლამოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის-ეს ნიშნავს იმას, რომ მუსლიმურ ქვეყანაში, რომელიც არის მეზობარაბულ ისლამური აზრის, ქრისტიანი კაცისათვის დიდი დამსახურებაა მსგავსი ტიპის აღიარება და პრემია. შემდგომ უკვე ამავე თარგმანს მოჰყვა საქართველოში საბას პრემია საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში. რაც შეეხება "ქილილა და დამანას", არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითონ სპეციალისტის თვალსაზრისით, როგორც ყურანი, მაგრამ მას ისეთი ყურადღება არ მოჰყოლია, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩემი პირველი გამარჯვება, როგორც მთარგმნელის, უკავშირდება "ქილილა და დამანას". მკითხველთა დიდი ინტერესისა და მოთხოვნის გამო, გამოიცემა სასახუქრე გამოცემა, რომლის ჩასწორებაზეც ახლა ვმუშაობ. რაც შეეხება პოეზიას, გარდა ქართულისა, ირანულ, ან სპარსულ ენაზე თუ წერთ?

— არასოდეს სხვა ენაზე არ დამიწერია ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ სპარსულშიც და არაბულშიც ჩემთვის მშობლიურითაა. ისე, ქართულიდან მითარგმნია ჩემივე ლექსები, რომლებიც იქაურ ჟურნალში გამოქვეყნდა და ქართველი პოეტების ლექსები. ახლა ვაკეთებ თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიას სპარსულად, რომელიც გამოიცემა ირანში. 4 კრებული მაქვს გამოცემული, წერა არის ჩემი უმნიშვნელოვანესი საქმე, ყველაზე ლაღი ვარ მაშინ, როცა ლექსს ვწერ, მე მის ღირებულებაზე არ ვსაუბრობ, ვამბობ ჩემს დამოკიდებულებაზე. — მოგიყვებით თქვენი ოჯახის შესახებ, როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე გავიცანი ხაშურში, თეირანიდან ვიყავი არდადეგებზე ჩამოსული, ჩემმა ქართულის მასწავლებელმა წამიყვანა თავისი მოსწავლის გასაცნობად, რომელიც ჩემს პოეზიაზე იყო შეყვარებული და მის ნიჭიერებას გაუხვია ხაზი. გავიცანი ირინა, რომელსაც სკოლა იმ წელს ჰქონდა დამთავრებული, შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. რომ დაგებრუნდი თეირანში, მქონდა საშუალება კონტაქტის და ურთიერთობის, ერთ წელიწადში, როცა დაგებრუნდი საქართველოში, პრაქტიკულად, გზად, აეროპორტიდან მოვიყვანე ცოლად. დღეს გვყავს ორი შვილი, 15 წლის ლუკა და 7 წლის ლილიკო. ირინა სპეციალობით ანგლისტიკა, მაგრამ მიუხედავად მისი პოტენციალისა და ნიჭისა, დღეს დედაა, ვიტოვებ იმედს, რომ ირინა თავისი პროფესიული კუთხითაც თავის სიტყვას იტყვის. — ამჟამად რითი ხართ დაკავებული, რა წარმოადგენს თქვენი საქმიანობის სფეროს?

— ვკითხულობ ლექციებს, ვარ ასოცირებული პროფესორი და ვმუშაობ ახალ თარგმანზე ჯალალ ედინ რუმის "არსთა მესნევი", რომელსაც უწოდებენ სუფიზმის ენციკლოპედიას. მე-14 საუკუნის ტექსტია, 6 წიგნიანი, ურთულესი. ირანულმა მხარის დაკვეთა და თეირანშივე დაიწყო გამოცემა ქართულად. 3 წიგნი უკვე გაკეთებული მაქვს.

თ. ჯავახიშვილი

თურქეთში, საკურორტო ქანდაკ მარმარისში ხუთი ღრე გრძელდებოდა საეოცამორისო კონკურსი, რომელიც ათზე მეტი ქვეყნის სხადგანრლდა (სხვადსახვადსასაკობრივი ჯგუფი) მუსიკოსი იღებდა მონაწილეობას. სასიამოვნოს, რომ მასში ხაშურის სასამუხიკო სკოლის ორი მოსწავდეც მონაწილეობდა. ღიკვად კადმასხედიქ (ვიოლინო) და იასახადკაცი (ფორტეპიანო). ვიდრე კონკურსის პერიოდებზე მოგიტხრობთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი მუსიკოსის კონკურსში მონაწილეობა ფინანსურად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებობამ და ჩვენმა მატრონიტარმა დაწესებულებამ დაეფინანსა. უზრუნველყვეს და დიდი მადლობა მათ ამისათვის. მართლაც

მისსადმებელი ფაქციას, რომ ნიჭიერ ბავშვებს ხელისუფლებისადგანს ასეთი მხარდაჭერა აქვთ და იმედია, ეს მხარდაჭერა მომავალიც გაგრძელდება. რაც შეეხება თავად კონკურსს, რომლის ფიური 6 ქვეყნის

ლიკა ჯალმასხელიძე, იასახალჯაცი — მომავლის "ვარსკვლავები"



ნარმომადგენლებისადგან შედგებოდა (თურქეთი, საქართველო, იტალია, გერმანია, სომხეთი, რუსეთი), იგი ძალიან ნარმადგებელი აღმოჩნდა ჩვენი ნარგზავნილებისათვის. ღიკვად მიერ შესრულებულმა მუბერის "სერენადამ" და ფიოკოს „დეგრამ“ და იას „ჯახის იმპროვიზაციამ“ აღაფრთოვანა ფიური. ყვედა აღნიშნავდა, რომ მათი სახით ამ საერთაშორისო კონკურსს ნამდვიდი ვარსკვლავები ჰყავდა. დაურეცხის ნოდება, სპეციადური სერტიფიკატები და მრავალი მიწვევა სხვადსახვად ქვეყანაში, აი, შედეგი, რომელიც ჩვენმა წაცარა მუსიკოსებმა გვაჩუქეს. სხვადსახვადის, უახლოესი მონაწილე მათ ახერბადჯახიდან აქვთ და იმედია, ფინანსური პრობლემები არც ამჯერად გახდება გადაუდახავი ბარიერი. მადლობა ღიკვადს და იასს, მადლობა მათ შესანიშნავ პილადგოვებს ფაცი სადლადმვიდს და მათი მურადსმვიდს, რომლებმაც ყვედაფერი გააკეთეს, რომ ხაშურის სასამუხიკო სკოლას ასე ნარმოჩენიდიყო საერთაშორისო ასწარუნე. მამ ასე; დამახსოვრეთ ეს სახელები — ღიკვად კადმასხედიქ და იასახადკაცი — გჯერა, ისინი მომავალი უფრო დიდი ნარმადგებლებით არაერთხელ შეგვახსენებენ თავს.

გამარჯვება ანაკლიაში




ანაკლიაში, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მოწოდებულ „მომავლის ბანაკში“ რამდენიმე დღე გრძელდებოდა ტურნირი ჭადრაკში, სადაც თავი ისახელა გომის საჯარო სკოლის მეთაველასელმა გრიგოლ გელაშვილმა (მწვრთნელი ბ. გელაშვილი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებული მედლითა და თასით დაჯილდოვდა.

ვა. გამარჯვებული მედლითა და თასით დაჯილდოვდა.

გიორგი მეტრეველი კვლავ პირველია

ამ დღეებში, თბილისში, ჭიდაობა საბოლოო ჩატარდა ივანე გამხიტავის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის. ტურნირი ქართველი მოჭიდავეებისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში გამარჯვებულები აკომპლექტებდნენ საქართველოს ნაკრებს, რომელიც 8-11 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას (ლიტვა, რიგა). ტურნირზე ბრწყინვალედ იასპარეზა გიორგი მეტრეველი, (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე), რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ იგივე ტურნირზე მესამე ადგილი კიდევ ერთმა ხაშურელმა — ვახტანგ მეტივიშვილმა მოიპოვა. გიორგისადგან მსგავს წარმატებებს ჩვენ მიხვეული ვართ და იმედია, იგი მსოფლიო ჩემპიონატისადგან გამარჯვებული დაგვიბრუნდება.



თ. მალაღდაძე, ქართული ჭიდაობის შიდა ქართლის რეგიონული ფედერაციის მდივანი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
 D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.